



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 90

ქალაქი ქუთაისი 28 თებერვალი 2017 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე
32-ე სხდომის მოწვევის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ განიხილა რა „სივრცითი მოწყობისა და ქალაქმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მომზადებული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ახალგაზრდობის გამზირის მიმდებარედ (ნაკვეთი N2) საუნივერსიტეტო ქალაქის მშენებლობის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების წინასაპროექტო კვლევის მასალები, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2016 წლის 8 აპრილის N1-1/196 ბრძანებით დამტკიცებული დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს გადაწყვეტილებით, ამ მასალების საფუძველზე, თანახმაა გაიცეს განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული ინტერესებიდან გამომდინარე, ქალაქისა და რეგიონის გრძელვადიანი განვითარებისათვის უმნიშვნელოვანესი პროექტის დროში დროული განხორციელების ხელშეწყობის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

მუხლი 1. მოწვეულ იქნეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე 32-ე სხდომა მ/წლის 2 მარტს, 12.00 საათზე /სხდომის ჩატარების ადგილი: ადგილობრივი თვითმმართველობის შენობაში არსებული სხდომათა დარბაზი, რუსთაველის გამზირი N3/.

მუხლი 2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე 32-ე სხდომაზე წარდგენილ იქნეს **დღის წესრიგის** შემდეგი პროექტი:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ახალგაზრდობის გამზირის მიმდებარედ (ნაკვეთი 2), საუნივერსიტეტო ქალაქის მშენებლობისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ

ბატონი შ.მურდულია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ბ. ჭეიშვილი
მერიის არქიტექტურისა და ზედამხედველობის
სამსახურის უფროსი

მუხლი 3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით დვალი